კოდიციფირებული ვერსია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 6 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 მარტის N6 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 12 აპრილის N1 სხდომის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მკვლევართა პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 1.გავრცელების სფერო

1.1. ეს წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ მკვლევართა პერსონალზე (მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი, ასისტენტ-მკვლევარი) და არეგულირებს მათი საქმიანობის შეფასების სისტემას.

1.2. ამ წესის 1.1. პუნქტში მითითებული პერსონალი და კვლევითი ერთეულის დირექტორები, რომლებიც ამავდროულად დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეფასდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის თანახმად და არ გავრცელდება ამ წესი მოქმედება. (დამატება 12.04.2022წ.)

1.3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი თუ ამავდროულად დასაქმებულია 1.1. პუნქტით განსაზღვრულ თანმდებობაზე და არ უკავია აკადემიური თანმდებობა, შეფასდება როგორც მკვლევარი და არა როგორც სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) დირექტორი.(დამატება 12.04.2022წ.)

მუხლი 2. შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზანი

2.1. შესრულებული სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით განისაზღვროს მკვლევართა პერსონალის მიერ უნივერსიტეტის საქმიანობაში ინდივიდუალურად შეტანილი წვლილი კვლევის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მუდმივი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, სამუშაოს შეფასების მიზანია, განხორციელდეს:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნის - უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის სტანდარტის ამაღლება - განხორციელების ხელშეწყობა;
- ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- თანამშრომლისათვის, მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ არსებული მოლოდინების სიცხადე;
- თანამშრომლებთან კომუნიკაცია;
- საქმიანობით კმაყოფილების ზრდა და მოტივაციის გაუმჯობესება;

მუხლი 3. კვლევის შეფასების კრიტერიუმები

3.1. კვლევა შესაძლებელია შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით: (ცვლილება 12.04.2022წ.)

ა)კონკრეტული კვლევითი პროექტის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; (მათ შორის: მონაცემთა ბაზის სტრუქტურირების, მართვის,

რედაქტირებისა თუ შევსების პროცესში მონაწილეობა, კვლევითი ხელსაწყოს (მათ შორის ციფრული) შექმნა/შექმნის პროცესში მონაწილეობის მიღება);
ბ)პუბლიკაცია*;
ბ.ა) სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში ;**
ბ.ბ)სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;
ბ.გ)სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში;
ბ.დ)მონოგრაფია/წიგნი;
ბ.ე)თავი წიგნში/კრებულში (საერთაშორისო გამოცემა);
ბ. ვ)თავი წიგნში/კრებულში (ადგილობრივი გამოცემა);
ბ.ზ)საერთაშორისო ბაზებში*** შემავალი კონფერენციის მასალები;
ბ.თ)კონფერენციის მასალები;
ბ.ი)სახელმძღვანელო;
გ) გრანტი;
დ) საერთაშორისო კოლაბორაციის წევრობა;
ე)ჯილდო;
ვ)პატენტი;
ზ)საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;
თ)შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი; ექსპედიცია; გამოფენა; დიზაინი; საჯარო შესრულება (მუსიკის მიმართულებისთვის); პროგრამული უზრუნველყოფა;
ი) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
კ) საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;
ლ)ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;
მ) რეცენზირება საერთაშორისო პუბლიკაციებისთვის;
ნ)სასწავლო პროცესში ჩართულობა;
3.2. 3.1. პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები არ არის სავალდებულო და ამომწურავი. თითოეული სამეცნიერო კვლევითი ერთეული/ ფაკულტეტი უფლებამოსილია კვლევის შეფასებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს როგორც შეფასების კრიტერიუმები, ისე მათი რაოდენობა თითოეულ შემთხვევაში; (დამატება 12.04.2022წ.)
3.3. კვლევის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მიერ უნდა განხორციელდეს შესაბამის ფაკულტეტთან შეთანხებით;(დამატება 12.04.2022წ.)

** ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ აფილიაციაში მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევითი შედეგების შეფასების მიზნებისთვის.*
*** სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue).* საბუნებისმეტყველო, ზუსტი, საინჟინრო და მედიცინის მიმართულებისთვის სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული *Thomson Reuters Web of Science*-ის ბაზაში შემავალ *0.5*-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან *Scopus* - ის ნუსხაში შემავალ *0.5*-ზე მაღალი ცეტირების ქულის *(CiteScore)* მქონე ჟურნალში.
**** Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue*

მუხლი 4. მკვლევართა პერსონალის საქმიანობის შეფასების მეთოდი(ცვლილება12.04.2022წ.)

4.1. მკვლევართა პერსონალის შეფასების ქულათა მინიმალური ზღვარი დგინდება თითოეული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ ფაკულტეტთან შეთანხმებით, ფაკულტეტის მიერ

ინდივიდულურად და განისაზღვრება კვლევის შეფასებისთვის ამ წესის თანახმად დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;
4.2. კვლევის შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება დგინდება და რეგულირდება ინდივიდუალურად თითოეული ფაკულტეტის/სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ ფაკულტეტთან შეთანხმებით.
4.3. განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი ქულების დაგროვების შემთხვევაში ინდივიდუალური მკვლევარის საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს დადგენილ მინიმალურ ქულათა ზღვარზე მეტი ქულით.

მუხლი 5. შეფასების პროცესის ვადები და ინსტრუმენტი
5.1. მკვლევართა პერსონალის საქმიანობის შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით.
5.2. შეფასება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის დასასრულს არსებული მონაცემების მიხედვით.(ცვლილება 29.12.2023)
5.3. შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება უნიფიცირებული თვითშეფასების კითხვარები, რომლებიც შემუშავდება ამ წესით განსაზღვრული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
5.4. კვლევითი პერსონალი ვალდებულია შეავსოს თვითშეფასების ფორმა ყოველი შეფასების პერიოდის დადგომისას მისთვის დადგენილი ფორმის გადაცემიდან არაუგვიანეს 45 კალენდარულ ვადაში. შევსებული შეფასების ფორმა უნდა გადასცეს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/ ფაკულტეტის ადმინისტრაციას.(ცვლილება12.04.2022წ.)
5.5. შეფასების პროცესი დაიწყება შესაფასებელი პერიოდის ბოლო წლის პირველი დეკემბრიდან და დასრულდება მომდევნო წლის არაუგვიანეს 01 მარტს. თვითშეფასების პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციას აგზავნის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან პროცესის დაწყებამდე 10 დღით ადრე. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან ერთად უზრუნველყოფს მკვლევართა პერსონალისთვის თვითშეფასების ფორმის მიწოდებას, კომუნიკაციას ფორმის შევსების, შეფასების წესების, ქულების და შეფასების შედეგების შესახებ. (დამატება12.04.2022წ.)
5.6 მიღებული შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/ ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია და წარადგენს შესაბამისი ერთეულში გაერთიანებულ კვლევითი პერსონალის წინაშე, იღებს მათგან რეკომენდაციებს შედეგების გაუმჯობესებისა ან/და მდგრადობისათვის კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ასევე ყველა შედეგისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ეგზავნება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული შედეგები, ასევე საბჭოების მიერ გაზიარებული და ინიცირებული რეკომენდაციებით, ეგზავნება რექტორსა და უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს. კვლევითი საბჭოს მიერ შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვის, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დამატებითი რეკომენდაციების განსაზღვრის შემდეგ, კვლევითი საბჭოს გადაწყვეტილება და ასევე კვლევითი ერთეულების ანგარიშები იგზავნება აკადემიურ საბჭოსთან რეკომენდაციების და შემდგომი ქმედებების განხილვისა და დამტკიცების მიზნით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად შემდგომი ინტერვენციების განხორციელება ევალებათ უნივერსიტეტს

ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს, კვლევით ერთეულებსა და სტრუქტურულ ერთეულებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში.(ცვლილება 29.12.2023)
5.7 სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური კოორდინირებას უწევს შეფასების პროცესს და ზედამხედველობს ამ წესით განსაზღვრული ვადების დაცვას. (დამატება12.04.2022წ.)

მუხლი 6. შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვა

6.1. შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს კვლევის ხარისხი თითოეული მკვლევარის თანამონაწილეობით, ხელი შეეწყოს ამ მხრივ განვითარების პროცესს და შედეგად წარმატებით განხორციელდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.
6.2. შედეგების გაცნობა მკვლევართა პერსონალისთვის ელექტრონული (კორპორატიულ ელ. ფოსტისა ან ავტორიზებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით) ან მატერიალური ფორმით მოხდება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/ფაკულტეტის მიერ;(ცვლილება12.04.2022წ.)
6.3. უნივერსიტეტი განიხილავს დადგენილი ქულათა მინიმალური ზღვარის ან მინიმალურ ზღვარზე მეტი ქულის მიღების შემთხვევაში და ამ ქულების თვისებრივი შინაარსიდან გამომდინარე, უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით, მკვლევრების მიმართ წახალისების ფორმების გამოყენებას მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით. წახალისების ფორმის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ზომა, რომლის მნიშვნელობაც და მიზანიც იქნება იმ შედეგების აღიარება, რომელიც მიღწეულ იქნა კონკრეტული მეცნიერის მიერ. წახალისების ფორმა შესაძლოა ატარებდეს სპეციალური ჯილდოს თუ (ფინანსური და არამატერიალური) სტატუსის მინიჭების ხასიათს, ითვალისწინებდეს მადლობის გამოცხადებას, კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებას და ა.შ ამასთან, დადებითი შედეგის დროში მდგრადობის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს მკვლევართა პერსონალის ხელფასის მატების საკითხი.(ცვლილება12.04.2022წ.)
6.4 შესრულების ნეგატიურ შედეგებზე (ქულათა მინიმალურ ზღვარზე ნაკლები შედეგი) რეაგირების ფორმის თვალსაზრისით, თუკი შესრულების შედეგები მუდმივად დაბალია, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, აღნიშნული შედეგი გაითვალისწინოს მკვლევრისთვის ახალი ვადით ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას;(ცვლილება12.04.2022წ.)
6.5. კვლევის სფეროში ყოველი ნეგატიური შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის/ ფაკულტეტის მიერ. მკვლევართა პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გააუმჯობესოს მიღებული შედეგი, ხოლო უარყოფითი შედეგის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს მათი შრომითი ხელშეკრულების პირობების გადახედვის საკითხი.(ცვლილება12.04.2022წ.)

მუხლი 7 წესის ამოქმედების ვადა
7.1.ეს წესი მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან.
7.2. წესში განხორცილებული ცვლილებებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს შეფასება და შესაბამისად, პირველი შესაფასებელი პერიოდის ათვლა დაიწყოს 2021 წლის 01იანვარს.(დამატება12.04.2022წ.)